კინგსის მათემატიკის ოლიმპიადა - I ტური

მე-8 კლასი

ძირითადი სავარჯიშოები (40 ქულა):

1. რა ციფრით ბოლოვდება სხვაობა $783 * 17 * 235 - 48 * 73 * 32$?
   A. 5-ით B. 7-ით C. 2-ით
2. მათემ ჩაიფიქრა რიცხვი, რომელიც 2-ზე გაყოფისას ნაშთს აძლევდა 1-ს და გაამრავლა 5-ზე. რა ციფრით დაბოლოვდებოდა მიღებული რიცხვი?
   A. არასაკმარისი პირობაა B. 0-ით C. 5-ით
3. დღე-ღამეში უფრო მეტი წუთია, თუ 24 წუთში უფრო მეტი წამია?
   A. ტოლია B. დღე-ღამეში უფრო მეტი წუთია C. 24 წუთში უფრო მეტი წამია
4. რამდენით მეტია 9-ით დაბოლოებული ორნიშნა რიცხვების ჯამი 3-ით დაბოლოებული ორნიშნა რიცხვების ჯამზე?
   A. 38-ით B. 6-ით C. 54-ით
5. შესაძლებელია თუ არა 17x17-ზე უჯრედებიანი დაფა დავფაროთ 2x3-ზე (დომინოს ფორმის) მართკუთხედებით? (დავფაროთ ნიშნავს, რომ 2x3-ზე მართკუთხედები ერთმანეთს არ უნდა ფარავდეს და 17x17-ზე დაფის არც ერთი უჯრა დაუფარავი არ უნდა დარჩეს)
   A. კი B. არა C. ვერ დავადგენთ
6. ოთახში 65 ადამიანია. ჩამოთვლილთაგან რომელია სწორი?
   I მათგან აუცილებლად მოიძებნება სულ მცირე 6 ადამიანი, რომელთაც ერთსა და იმავე თვეში აქვთ დაბადების დღე
   II მათგან აუცილებლად მოიძებნება 3 ან მეტი ადამიანი, რომელთაც ერთსა და იმავე რიცხვში აქვთ დაბადების დღე
   III მათგან აუცილებლად მოიძებნება 10 მაინც, რომლებიც კვირის ერთსა და იმავე დღეს არიან დაბადებულები
   A. მხოლოდ I B. I და II C. სამივე
7. ცარიელი ავზი პირველი ონკანით 4 საათში ივსება, ხოლო მეორე ონკანით 12 საათში. რა დროში აივსება ავზი თუ ორივე ონკანს გავხნით?
   A. 2 საათში B. 3 საათში C. 4 საათში
8. 3 კგ ვაშლი ღირს იმდენივე, რამდენიც 7 კგ მსხალი. 6 კგ ფორთოხალი კი ღირს იმდენი, რამდენიც 9 კგ მსხალი. რომელია უფრო ძვირი, 9კგ ვაშლი თუ 14 კგ ფორთოხალი?
   A. 9 კგ ვაშლი B. 14 კგ ფორთოხალი C. თანაბარი ფასი აქვთ

ბონუს სავარჯიშოები (10 ქულა):

9. AB წრეწირში გავლებული ქორდაა, ხოლო R ამავე წრეწირის რადიუსია. რომელია მეტი?
   A. AB B. R C. ვერ დავადგენთ
10. რამდენი წახნაგი აქვს კუბს?
   A. 8 B. 12 C. 6